

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ენობრივი სივრცე

ენებში სივრცითი სემანტიკის გადმოცემა ხდება ლექსიკური ან გრამატიკული კატეგორიებით ან მათი კომბინაციებით. სამეტყველო ქართულში ამ ტიპის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს შემდეგი საშუალებებით:

- a. გეოგრაფიული სახელებით,
- b. პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელებით,
- c. მოძრაობის ზმნებით (ანუ ვექტორული ზმნებით),
- d. ადგილის ზმნიზებებით,
- e. თანდებულებითა და წინდებულებით.

სივრცითი არსის გამომხატველი გრამატიკული საშუალებებია: ბრუნვები, (ასევე თანდებულიანი ბრუნვები), ზმნისწინები, წინდებულები და თანდებულები, ზმნის პოლიფუნქციური ხმოვანი პრეფიქსები. ამას გარდა, გრამატიკაში გამოვყოფთ ვექტორულ კატეგორიებს (მაგ. ბრუნვა, ქცევა, კაუზაცია და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენობრივი სივრცე სუბიექტურია და სხვა ენობრივ მოვლენებთან ერთად ამისი საუკეთესო დასტურია ორიენტაციის კატეგორია.

ქართულ სამეტყველო ენაში მოქმედი ვექტორული კატეგორიები კონკრეტულ ლინგვისტურ კომბინაციაში არის წარმოდგენილი. მაგალითისთვის ავიღოთ ასეთ წინადადება: „*ბავშვმა შეუარა დედას სამსახურში.*“ ამ წინადადებაში წარმოდგენილია ოთხი ვექტორული კატეგორია: ზმნისწინი, სასხვისო ქცევა, დატივი (როგორც ირიბი ობიექტის ბრუნვა) და -ში თანდებული ადგილის აღმნიშვნელ სახელთან. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ვექტორული ფორმები ყოველთვის გეზის აღმნიშვნელი არ არის. აქ ზოგჯერ საუბარია უფრო ფართო ტიპის ურთიერთმიმართებაზე.

რა სისტემის კომბინაცია გვაქვს ზემოთ მოცემულ წინადადებაში სივრცითი თვალსაზრისით?

განვიხილოთ ამ წინადადების პირველი ვექტორული ფორმა - ზმნისწინი. ზოგადად, საყოველთაოდ ცნობილია შე- ზმნისწინის გეზი - ეს არის გარედან შიგნით მიმართული მოქმედება. იგივე სათქმელი, შესაძლოა, ყოფილიყო სხვა ფორმითაც -

გაუარა („ბავშვმა გაუარა დედას სამსახურში.“). სხვაობა ამ ორ ფორმას შორის არის მცირე, მაგრამ საკმაოდ გამოკვეთილი. ფორმა „შეუარა“ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბავშვი შიგნით იყო, ანუ დედის სამსახურში (შიგ) შესული. ხოლო ში-თანდებული შე- ზმნისწინთან ერთად წარმოქმნის საერთო სივრცით არეალს ამ წინადადებაში.

სივრცითი კომბინაციები ენაში მრავალმხრივი და მრავალწევრიანი ურთიერთმიმართებების სისტემებს აყალიბებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ „შეიარა“ და „შეუარა“ ფორმები მხოლოდ ირიბი ობიექტის ქონა-არქონით განსხვავდებიან მაშინ, როცა „შემოიარა“ და „შემოუარა“ ფორმათა დაპირისპირება უფრო მეტ სხვადასხვაობას გვიჩვენებს. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ფორმებში („შემოიარა“ და „შემოუარა“) გეზია განსხვავებული. პირველ შემთხვევაში გვაქვს ის, რაც კარგად ცნობილია ქართული საენათმეცნიერო სივრცისთვის. ეს არის შე- ზმნისწინის ზემოთ აღნიშნული (გარედან შიგნით მიმართული) გეზი და ამას დამატებული სააქეთო ორიენტაცია (მო- ზმნისწინის დართვით). ხოლო მეორე ფორმაში უკვე სხვა ვითარებაა. აქ არ გვაქვს ე.წ. ორიენტაცია და შემო- რთულ ზმნისწინს აქვს ფუნქცია, რომ უჩვენოს მხოლოდ გეზი.

ჩვენი ქართული მეცნიერების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ენა საკმაოდ კარგადაა აღწერილი დესკრიფციული ენათმეცნიერების დონეზე. მიუხედავად ამ გარემოებისა, მაინც არის რიგი საკითხებისა, რაც კიდევ გამოსავლენია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დესკრიფციულ დონეზე. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ზმნისწინების სრულყოფილი სემანტიკური ანალიზი. მიგვაჩნია, რომ უნდა ჩატარდეს ფართო კორპუსული კვლევა თითოეული ზმნისწინის დეტალური ანალიზისათვის.

ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოვავლინეთ შემო- ზმნისწინის (დღემდე უცნობი) გეზი. ეს არის მოძრაობა რაღაცის ირგვლივ, უფრო ზუსტად, ირიბი ობიექტის ირგვლივ. „შემოიარა“ და „შემოუარა“ ფორმათა სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, ირიბი ობიექტის ქონა-არქონით ხასიათდება. სადაც გაჩნდა ირიბი ობიექტი (ქცევის ფორმათა და ხმოვან პრეფიქსთა მეშვეობით), ზმნისწინმა უჩვენა გეზი ამ ობიექტის გარშემო მოქმედებისა.


საგულისხმოა, რომ შემო- ზმნისწინს შეუძლია უჩვენოს მოძრაობა ირიბი ობიექტის ირგვლივ და ამ დროს ვერ იქნება გამოხატული ორიენტაციის კატეგორია. აქ გვექნება მხოლოდ გეზი, ორიენტაციის გარეშე და ასეთი ზმნის ფორმა უნდა იყოს ორპირიანი გარდაუვალი ან სამპირიანი. საინტერესოა, რომ შემო- ზმნისწინის ეს შინაარსი (ანუ ასეთი გეზი) ახალი არაა. თუ დავაკვირდებით ზმნიზედურ ფორმას „გარშემო“, ნათელი გახდება ამ გეზის სემანტიკის ისტორიული სურათი.

„შემოიარა“ და „შემოუარა“ ტიპის ოპოზიციური წყვილებია *შემოიარბინა* - *შემოუარბინა*, *შემოიფრინა* - *შემოუფრინა*. შემო- ზმნისწინის ირიბი ობიექტის

ირგვლივ მოძრაობის ახალგამოვლენილი გეზის მაგალითები უხვადაა ენაში როგორც ზმნურ, ისე მიმღობით ფორმებში: *შემოაჭრა, შემოახატა, შემოაჩუქურთმა, შემოუკეცა, შემოავლო, შემოათალა, შემოაფრცქვნა, შემოაბრდღვნა, შემოახია, შემოაშენა, შემოალესა, შემორტყმული, შემოწერილი, შემორკალური, შემოშენებული, შემოკრული, შემორაგული, შემოსაზღვრული* და სხვ.

რაც შეეხება ქართულ ჟესტურ ენას, სხვა ჟესტური ენების მსგავსად, ეს ენაც არის სამგანზომილებიანი მოდელის კინეტიკური ენა, რომელიც რეალიზდება დროსა და სივრცეში. გარდა იმ უნივერსალური მოვლენებისა, რასაც ზოგადად ჟესტური ენები მოიცავენ, სივრცითი განზომილებების გამოხატვის თვალსაზრისით, ქართულ ჟესტურ ენას აქვს კონკრეტული კინემებით გადმოცემული განსაკუთრებული (თავისებური) მორფოსემანტიკური საშუალებები სივრცითი სემანტიკის გამოსახატად.


მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ჟესტურ ენებში ნაცვალსახელები არ არსებობს და ეს მხოლოდ მითითებითი ფორმებია. როგორც არ უნდა მივუდგეთ ამ სისტემას, ნაცვალსახელები ჟესტურ ენებში სივრცითი ფორმებია. ქართული ჟესტური ენა იზიარებს ქართულ სამეტყველო ენაში არსებულ პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების სამგანზომილებიან სივრცით სისტემას, რომლის ამოსავალი წერტილი მოსაუბრე პირია.



ეს



ეგ



ის

ეს, ეგ, ის ნაცვალსახელები (მხოლოდით და მრავლობით ფორმებში) პირველ პირთან მიმართებით არის წარმოდგენილი. ძალიან მნიშვნელოვანია თვალის მიმართულების აქტივობა ამ ტიპის ნაცვალსახელებში. ზოგადად მიმიკას ბევრ სხვა ჟესტურ ენაში უფრო მეტი გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ქართული ჟესტური ენა ცდილობს, მეტი მანუალური ჟესტი განივითაროს და მიმიკას აარიდოს ძირეული გრამატიკული ტვირთი. თუმცა საინტერესოა, რომ ამ ენაში მკაფიოდ გვაქვს წარმოდგენილი თვალის მიმართულებული ნაცვალსახელები და მათი გამოყენებაც საკმაოდ აქტუალურია მრავალ კონკრეტულ დისკურსში.

გარდა ნაცვალსახელური სისტემისა, შესტურ ენებში სივრცითი აქცენტები შეიძლება გაკეთდეს ადგილისა და მიმართულების გამომხატველი სიტყვებით, ისევე როგორც სამეტყველო ენებში.

ქართულ შესტურ ენაში განსხვავებული მიდგომა, სივრცითი განზომილებების თვალსაზრისით, მოცემულია ირიბი ობიექტის მეშვეობით. მოგეხსენებათ, ეს აქტანტი ხშირად არის ლოკატორი ან ადრესატი. ქართული შესტური ენა მდიდარია ზმნური აქტანტების აღმნიშვნელი მარკერებით. ეს მარკერები ამასთანავე სივრცითი ფორმებია, რომლებიც ლინგვისტურ სივრცეში ორიენტირებულია სათანადო ზმნური აქტანტისაკენ.

შესტურ ენებში, ზოგადად, საინტერესო დინამიკა აქვს ზმნას. ერთის მხრივ, ეს არის პანტომიმური მოქმედება, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს რიგი კლასის კატეგორიის ნიშნებისა. გარდა უშუალოდ მოძრაობის დინამიკისა - რასაც ასახავს ესა თუ ის ზმნა კინეტიკურად, მას შესტურ ენებში გააჩნია შინაგანი ლინგვისტური დინამიკა და შესაბამისი ლინგვისტური სივრცეც.

ლინგვისტური სივრცე შესტურ ენებში (ისევე როგორც სამეტყველო ენებში) სუბიექტურია. კერძოდ, აქ უნდა გამოვყოთ ორი ტიპის მოქმედება.

1. მოქმედების სუბიექტური არეალი, როგორც ფიზიოლოგიური სფერო, ანუ ხელების, თავის და იშვიათად, ფეხების სამომრავო-კინეტიკური სივრცე, რომელიც ინდივიდუალურია და ხშირად თავისი პარამეტრებით ძალიან განსხვავდება სხვა პიროვნების ფიზიოლოგიური სივრცისგან.
2. ზმნის შიდა ენობრივი სივრცე და დინამიკა (მაგალითად, უღლება ან სხვა კატეგორიების რეალიზება), ანუ კონკრეტული ზმნის სუბიექტური (ანუ ინდივიდუალური) დინამიკის არეალი.

უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში საკმაოდ მაღალია სუბიექტური ფაქტორი. საგულისხმოა, რომ შესტურ ენებში, ხშირად სუბიექტი როგორც ასეთი, არ არის წარმოდგენილი და სხეული განიხილება როგორც სუბიექტი. სხეული ასევე ათვლის წერტილია სააქეთო-საიქეთო მიმართულებების სისტემებისათვისაც შესტურ ენებში. მნიშვნელოვანია სხეულის როლი დროითი სისტემის თვალსაზრისითაც. ზოგადად, ცალკე უნდა გამოიყოს დროითი ლინგვისტური გეომეტრია ქართულში. აქ შესტური და სამეტყველო ენები სხვადასხვა სისტემებს ავლენენ. შესტური ენისთვის ყველაფერი ის, რაც უკვე მოხდა, არის სხეულის უკან და ის რაც უნდა მოხდეს, არის სხეულის წინ, ხოლო სხეული უფრო აწმყოს პარამეტრებითაა წარმოდგენილი. შედარებისათვის, სამეტყველო ქართულში „*ორი წლის წინ*“ და „*ორი წლის უკან*“ - ეს ორივე ფრაზა წარსულ დროს გულისხმობს, თუმცა ერთი მიუთითებს ფორმაზე *წინ*, ხოლო მეორე - ფორმაზე *უკან*. ქართულ შესტურ ენაში ეს მოვლენა მკაცრად დეფინიცირებულია და ორივე ეს ფრაზა სხეულის უკან, ანუ უკვე განვლილ დროით გეომეტრიულ სივრცეში თავსდება.

ქართული სივრცითი აზროვნების მოდელი თავისი სპეციფიკური სტრუქტურით გვიჩვენებს სიღრმისეულ ენობრივ დამოკიდებულებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Ackerman, Farrell, and Gerd Webelhuth (1998) *A Theory of Predicates*. Stanford: Center for the Study of Language and Information.
- Asatiani, Irine (1952) *Zmniscinebi Zanurshi*. [Preverbs in Zan] Tbilisi.
- Asatiani, Rusudan (2009) A Dynamic Conceptual Model for the Linguistic Structuring of Space: Georgian Preverbs. Selected papers of the 7th International Symposium on LLC. Springer. 38-47.
- Blom, Corrien (2005) Complex predicates in Dutch. Synchrony and diachrony. Ph.D. Dissertation, Vrije Universiteit Amsterdam. Utrecht: LOT Netherlands Graduate School of Linguistics.
- Dufresne, Monique, Dupuis Fernande & Tremblay Mireille (2003) Preverbs and particles in Old French *Yearbook of Morphology 2003*, Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow. 33-60
- Farrell, Patrick (2005) English verb-preposition constructions: Constituency and order. *Language* 81(1): 96-137.
- Haiden, Martin (2006) Verb particle constructions. In: Martin Everaert and Henk van Riemsdijk (eds.), *The Blackwell Companion to Syntax*, vol. 5, 344-375. Oxford: Blackwell.
- Kobalava, Bela (2002) *gv- zmniscinis minishvnelobisatvis megulshi*. [For the meaning of gv-preverbs in Mengrelain]. *Enatmeclireebis sak'itxebi - 2002*. Tbilisi.
- Makharoblidze, Tamar (2012) *The Georgian Verb*. LINCOM Studies in Caucasian Linguistics. p.646; pp.53-71
- Makharoblidze Tamar (2010) *Linguistic Papers II*. Tbilisi. Nakeri. P.163 pp.77-101
- მახარობლიძე თ. (2015) ქართული ჟესტურის ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ.
- მახარობლიძე თ. (2012) ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.

- მახარობლიძე თ. (2016) ლინგვისტური წერილები - III. თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. ISBN 978-9941-13-511-8 446 გვ.
- Makharoblidze Tamar (2015) Indirect object markers in Georgian Sign Language. *Sign Language & Linguistics*. #18 (2) [John Benjamins](#) Publishing Company. P. 238-250
- თ. მახარობლიძე, (2015) ზე-პრეფიქსის შესახებ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები XIII, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თსუ, თბილისი 2015.
- Margolis, [Max \(1909\)](#) The Greek Preverb and Its Hebrew-Aramaic Equivalent. *The American Journal of Semitic Languages and Literatures*, Vol. 26, No. 1 (Oct., 1909), pp. 33-61
- McIntyre, Andrew (2003) Preverbs, Argument Linking and Verb Semantics: Germanic Prefixes and Particles. In: *Yearbook of Morphology 2003*. Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow
- Neeleman, Ad & Weerman, Fred (1993) The balance between syntax and morphology: Dutch particles and resultatives. *Natural Language and Linguistic Theory* 11, 433–475.
- Pinker, Steven (1989) *Learnability and Cognition*. Cambridge, MA: MIT Press.
- *Yearbook of Morphology (2003)* Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow
- Zeller, Jochen (2001) *Particle Verbs and Local Domains*. Amsterdam, John Benjamins.
- Zeller, Jochen (2003) Moved preverbs in German: displaced or misplaced? *Yearbook of Morphology (2003)* Edited by Booij & Jaap van Marle. Kluwer Academic Publishers. New York, Boston, Dordrecht, London, Moscow, 179-212

Tamar Makharoblidze

Professor of School of Arts and Science

Iliia State University

Space in Georgian

In languages spatial content can be displayed by lexical or grammatical means, or by the combinations of these two means.

In spoken Georgian, the following lexical means index spatial content:

- a. Geographical names
- b. Personal pronouns
- c. Motion verbs (the verbs with vectors)
- d. Adverbs of place
- e. Postpositions and prepositions.

Grammatical means for space in spoken Georgian are shown by: a. Cases, b. (Cases with) postpositions and c. Preverbs, and d. Verbal prefix vowels (*a-*, *i-*, *e-* *u-*).

The space in spoken Georgian (and not only) is subjective (speaker sensitive) and it is described from the speaker's point of view. This is a common semantical and linguistic phenomenon, but interestingly spoken Georgian finds the concrete morphological means do display this semantical content in its grammar.

The Georgian sign language (GESL) shows the two types of spatial relations: kinetic vector, which can be considered universal for all sign languages (SLs) and pure linguistic spatial vectors, which are specific in different SLs. GESL shows an exception to the common rule of SLs having the noun cases and additionally showing the spatial content of the indirect object.

Keywords: Georgian, Georgian Sign Language (GESL), space, spatial system